ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ირაკლი ზარქუას

ანგარიში

2019 წლის 31 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 14 ნოემბრიდან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს პროპორციული წესით არჩეული წევრი. საანგარიშო პერიოდში ვიკავებდი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას, გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის პოზიციას. ამავდროულად ვიყავი შემდეგი ფრაქციისა და კომისიების წევრი:

- ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო";
- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- სარევიზიო კომისია.

როგორც საკრებულოს წევრი, კანონმდებლობის შესაბამისად, ვასრულებდი ჩემს უფლება-მოვალეობებს: აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მუშაობის პროცესში, ვესწრებოდი სხვადასხვა სხდომასა და სამუშაო შეხვედრას.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი ბიუროსა და საკრებულოს 15 სხდომას. აღნიშნულ პერიოდში სულ ბიუროს 20, ხოლო საკრებულოს 18 სხდომა იქნა მოწვეული; სულ 140 დადგენილება და 404 განკარგულება იქნა მიღებული.

საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, განიხილულ და დამტკიცებულ იქნა სხვადასხვა

მიმართულებით დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული არაერთი საკითხი.

ზემოაღნიშნულ პერიოდში:

1. ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მიერ სულ ჩატარებული 16 სხდომიდან მონაწილეობა მივიღე 14 მათგანის მუშაობაში. საანგარიშო პერიოდში ფრაქციის მიერ გამართულ სხდომებზე სულ განხილული 21 საკითხიდან ჩემი თანამონაწილეობით განხილული საკითხების რაოდენობაა 18.

2. ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ სულ გამართა 29 სხდომა, რომლის ფარგლებშიც კომისიამ განიხილა სულ 325 საკითხი. აღნიშნული სხდომებიდან დავესწარი 26 სხდომას, ხოლო განვიხილე 307 საკითხი.

3. სარევიზიო კომისიის მიერ გამართული 14 სხდომიდან დავესწარი 12 სხდომას. აღნიშნულ პერიოდში კომისიის მიერ გამართულ სხდომებზე სულ განხილული 28 საკითხიდან ჩემი თანამონაწილეობით განხილულია 26 საკითხი.

4. გენდერული თანასწორობის საბჭომ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, არაერთი სამუშაო შეხვედრა გამართა.

სარევიზიო კომისია

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიის მიერ დამტკიცდა 2020 წლის სამუშაო გეგმა, რომლის თანახმად კომისია წლის განმავლობაში დედაქალაქის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას ახორციელებს.

კომისიის სხდომებზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხს შორის აღსანიშნავია:

1. <u>ანგარიშები სარევიზიო კომისიის მიერ შესრულებულებული სამუშაოების შესახებ. კერძოდ:</u>

- სარევიზიო კომისიის 2019 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში;
- სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიში;
- სარევიზიო კომისიის 2020 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში.

2. <u>2019-2020 წლების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები:</u>

- ინფორმაცია 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- 2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი პროექტის განხილვა;
- 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცება;

- ცვლილებები 2019-2020 წლების ბიუჯეტში;
- ინფორმაცია 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ.

3. <u>კომისიის 2019 და 2020 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება - ანალიზი/დასკვნები;</u>

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილული, დღის წესრიგით გათვალისწინებული, მრავალი საკითხიდან აღსანიშნავია რამდენიმე საკვანძო საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოები და მიღებული გადაწყვეტილებები:

<u>1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი:</u>

2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი მაჩვენებლი 1 021 400,6 ათასი ლარი იყო. ბოლო ცვლილება განპირობებული იყო პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის - „COVID 19"-ის გავრცელებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებისათვის საგადასახადო შემოსავლებში მოსალოდნელი დანაკლისის გამო. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობამ, აღნიშნულის გათვალისწინებით 1 101 648,1 ათასი ლარი შეადგინა.

2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებია:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- განათლება;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

2019-2020 წლების ბიუჯეტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები:

- 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვისა და 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები;
- 2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი პროექტის განხილვა;
- 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცება;
- 2020 წლის ბიუჯეტის 3 და 6 თვის შესრულების ანგარიში;
- მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილები 2019 და 2020 წლების ბიუჯეტში ასიგნებების ცვლილებების შესახებ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვის/გადაცემის საკითხები, მათ შორის:

- **დაუკანონებელ ფართებში მცხოვრებთათვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება;**

საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა რამდენიმე ასეულ ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ შესაბამისი უძრავი ქონებით.

- **კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა საკომპენსაციო ღონისძიებები,**

რომელთაგან, მასშტაბურობით გამოირჩევა შემდეგი პროექტები:

1. ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს/კ: N 01.10.07.004.058)

და ასევე,

2. ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.18.13.037.017)

საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, 1 ლარად საკუთრებაში გადაეცათ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ წარმომადგენლებს/უფლებამონაცვლეებს

აღსანიშნავია, რომ ამ მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მერიის მიერ ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა 2019 წელს შემდეგი მიზნობრიობით:

• ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

- **იჯარები - უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემა;**

მათ შორის ღია კაფეებისა და ა.შ. მოწყობისათვის.

3. სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტები

ზემოხსენებულ პროექტებთან ერთად, საანგარიშო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიდან, საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და საყოველთაო სარგებელის ზრდის თვალსაზრისით აღსანიშნავია:

- ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N30-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 01.10.17.023.001.00.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა;

  დანიშნულება:

  - ✓ დაუნის სინდრომის ასოციაციის განთავსება;
  - ✓ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა განმავითარებელი სხვადასხვა თერაპიისა და პროგრამის განხორციელება.

- ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციისათვის" პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება;

  დანიშნულება:

  - ✓ მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოწყობა;
  - ✓ ავტომობილების მართვის პედაგოგ-ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადება;
  - ✓ „საბავშვო ავტოქალაქი"-ს მოწყობა: სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის საგზაო მოძრაობის საწყისი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენა;
  - ✓ სარბოლო მონაკვეთების მოწყობა;
  - ✓ სპეციალური საწვრთნელი პროგრამა შშმ პირებისთვის.

4. ინტერესთა გამოხატვა

კომისიის მიერ 2020 წელს დადებითი რეკომენდაცია მიეცა დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებას ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით.

  ინტერესთა გამოხატვის საგანია:

- ✓ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ უძრავ ქონებაზე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება;
- ✓ გამარჯვებული პირისთვის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრების უფლებით გადაცემა;
- ✓ გამარჯვებული პირის მიერ საცხოვრებელი და შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აშენებულ შენობა-ნაგებობებში საცხოვრებელი ფართების ნაწილის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის პირობით.

5. სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიება / რეგულაცია:

მათ შორის:

➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხები:

- ✓ სხვადასხვა მისამართზე დაწყებული და დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების/სამშენებლო განვითარებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით.

➢ **სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობისათვის <u>პანდემიის პერიოდში</u> დედაქალაქის მიერ განხორციელებული ხელშემწყობი ღონისძიებები:**

- ✓ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ;
- ✓ ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის.

6. ქვეყნისა და დედაქალაქის მთავრობის მიერ გაცხადებული სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები:

საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელმოწერილი სასესხო შეთანხმების მიხედვით გათვალისწინებული:

➢ **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის“ გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის საკითხი;**

მიზნობრიობა:

- ✓ ახალი ავტობუსების შეძენა;
- ✓ არსებული ავტობაზების რეაბილიტაცია;
- ✓ ერთი ახალი ავტობაზის მშენებლობა.

- ➢ **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების საკითხი;**

მიზნობრიობა:

- ✓ თბილისის მეტროპოლიტენისათვის მოძრავი შემადგენლობის შეძენა;
- ✓ მეტროს დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქცია;
- ✓ შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

კანონმდებლობისა და ჩემი კომპეტენციის, ასევე, პანდემიის პირობებში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით ჩართული ვიყავი სხვადასხვა სამსახურებრივ და საზოგადოებრივ აქტივობაში. დავესწარი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ ინიცირებულ სამუშაო შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებს.

მჭიდროდ ვითანამშრომლე სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტებთან და ასევე, საკრებულოს კომისიებთან, მათი კომპეტენციის სფეროს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის კოორდინირებული კონსულტაციის გაწევის მიზნით. მონაწილეობა მივიღე მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად მოსახლეობასთან გასვლით ღონისძიებებსა და შეხვედრებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ირაკლი ზარქუა

30.10.2020